

სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ ახალი მმართველი მენეჯერების დანიშვნის შესახებ აცხადებს

დღეს სს „საქართველოს სახალხო ბანკმა“ („სახალხო ბანკი“) სამი ახალი მმართველი მენეჯერის დანიშვნის შესახებ განაცხადა.

არმენ მათეოსიანი დაინიშნა დირექტორად საცალო საბანკო მომსახურების დარგში. „სახალხო ბანკში“ გადმოსვლამდე არმენი იყო დირექტორის მოადგილე საცალო საბანკო მომსახურებისა და მარკეტინგის დარგში „როსბანკში“ (“Росбанк”) 2009 წლის ივნისიდან 2009 წლის დეკემბრამდე. „როსბანკში“ გადასვლამდე არმენი მუშაობდა „Société Générale International Retail Banking“-ის ევროპის დეპარტამენტში 2009 წლის იანვრიდან 2009 წლის მაისამდე. ამ თანამდებობაზე დანიშნამდე არმენი წლების მანძილზე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა „რესპუბლიკა ბანკში“ (ჯგუფი „Société Générale“), მათ შორის, დირექტორთა საბჭოს მრჩეველად (2008 წლის მაისი-2008 წლის დეკემბერი), საცალო საბანკო მომსახურების ხელმძღვანელად (2006 წლის დეკემბერი-2008 წლის აპრილი), შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორად (2005 წლის აგვისტო-2006 წლის ნოემბერი) და დირექტორად ფინანსებისა საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში (2003 წლის ოქტომბერი-2005 წლის ივლისი). „რესპუბლიკა ბანკში“ მუშაობის დაწყებამდე არმენი იყო შპს „რელიკოს“ გენერალური დირექტორი 1998 წლის ოქტომბრიდან 2003 წლის სექტემბრამდე. ამ თანამდებობაზე დანიშნამდე არმენი იყო უფროსი მენეჯერი მსოფლიო ბანკის კომპანიების რესტრუქტურისა და მართვის მხარდაჭერის ცენტრში 1998 წლის ივნისიდან 1998 წლის სექტემბრამდე.

გვანცა შენგელია დაინიშნა აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. „სახალხო ბანკში“ გადმოსვლამდე გვანცა ხელმძღვანელობდა დაგროვილი ქონების მართვის საქმიანობას „რესპუბლიკა ბანკში“ (ჯგუფი „Société Générale“) 2009 წლის ივლისიდან 2009 წლის დეკემბრამდე. ამ თანამდებობაზე დანიშნამდე გვანცა შენგელია მუშაობდა „საქართველოს ბანკში“ შიდა კონტროლისა და შესაბამისობის სამსახურის ხელმძღვანელად 2005 წლის აგვისტოდან 2008 წლის აგვისტომდე. „საქართველოს ბანკში“ მუშაობის დაწყებამდე გვანცა იყო ანგარიშთა სპეციალისტი „Deutsche Bank“-ში (ნიუ-ჯერზი, აშშ) 1999 წლის ოქტომბრიდან 2003 წლის ივნისამდე. „Deutsche Bank“-ში გადასვლამდე გვანცა მუშაობდა „Morgan Stanley“-ში (ნიუ-იორკი, აშშ) ფინანსური ანგარიშგების ჯგუფში განყოფილების უფროსად 1995 წლის ივლისიდან 1999 წლის სექტემბრამდე.

ნინო ანდლულაძე დაინიშნა ტრეინინგ-ცენტრის ხელმძღვანელად. „სახალხო ბანკში“ გადმოსვლამდე ნინო იყო „ბითიეი ბანკში“ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკების განყოფილების ხელმძღვანელი 2009 წლის მარტიდან 2009 წლის დეკემბრამდე. „BTA Bank“-ში მუშაობის დაწყებამდე ნინო მუშაობდა „თიბისი ბანკში“ სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, კადრების დეპარტამენტის შეფასებისა და ადმინისტრირების განყოფილების უფროსად (2009 წლის იანვარი-2009 წლის მარტი), კადრების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, ტრეინინგ-ცენტრის ხელმძღვანელად (2006 წლის იანვარი-2009 წლის იანვარი), კადრების დეპარტამენტის ტრეინინგ-ცენტრის ტრენერად (2003 წლის ოქტომბერი-2006 წლის იანვარი), მთავარ ბუღალტრად, სერვის-მენეჯერად (2001 ნოემბერი-2003 წლის ოქტომბერი), ბექ-ოფისის მენეჯერად, მთავარი ბუღალტრის მოადგილედ (2001 წლის იანვარი-2001 წლის ნოემბერი), საოპერაციო დეპარტამენტის მენეჯერად (1998 წლის აგვისტო-2001 წლის იანვარი).

**„მოხარული ვარ, რომ არმენი, გვანცა და ნინო ჩვენს გუნდს შემოუერთდნენ. ახლა უკვე ბანკის მენეჯმენტის გუნდი შევსებულია და ჩვენ ბანკის რესტრუქტურის პროცესს კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელებთ“; აღნიშნა სს „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, ლადო გურგენიძემ.**

**სს „სახალხო ბანკის“ შესახებ**  
სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 4.2% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფლიდალების ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 26,000-ზე მეტ ბიზნესურსს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.peoplesbank.ge](http://www.peoplesbank.ge) ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lado.gurgenidze@peoplesbank.ge](mailto:lado.gurgenidze@peoplesbank.ge) ან [ir@peoplesbank.ge](mailto:ir@peoplesbank.ge)

**„ლიბერტი ინვესტმენტის“ შესახებ**  
„ლიბერტი ინვესტმენტის“ 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს მზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრინიუ და ლადო გურგენიძე. „ლიბერტი ინვესტმენტი“ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lg@libertycapital.ge](mailto:lg@libertycapital.ge)

დიმიტრი კასატკინს  
დირექტორის მოადგილე  
+44 77 860 28 700  
ელ-ფოსტა: [dk@libertycapital.ge](mailto:dk@libertycapital.ge)